გოგი ცხადაია

პოსტსეკულარიზმის გლობალური მანიფესტაციები

საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების განხილვის დროს ხშირად მხედველობიდან გვრჩება პოსტსეკულარული მდგომარეობის თავისებურებები. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის გარკვეულ ეტაპს გულისხმობს, არამედ გლობალურ პერსპექტივასაც სეკულარიზმის გააზრებაში, რაზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი. პირველ ეტაპზე შევეცდებით სწორედ გლობალური მოვლენები განვიხილოთ. ამან შეიძლება თავისთავად მიგვიყვანოს რელიგიისა და პოლიტიკის ფენომენის ფილოსოფიურ გააზრებასა და, საბოლოოდ, ქართული სოციოპოლიტიკური რეალობის ახლებურ განხილვასთან.

პოსტსეკულარული მდგომარეობა, ჩვენი ათვლით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე გაცილებით უფრო ადრე იწყება. იმისათვის, რომ უკეთ წარმოგიდგინოთ იმ პროცესების ქრონოლოგია, რომლებზეც ქვემოთ მექნება საუბარი, საწყის წერტილად 1979 წელი ავირჩიე. რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული ამ წელს? 1979 წლის 11 თებერვალს ირანის ხელისუფლებაში რევოლუციის გზით მოვიდა აიათოლა ხომენეი, 20 ნოემბერს მექას მასჯიდ ალ-ჰარამის მეჩეთი დაიკავეს ისლამისტმა მებრძოლებმა, 24 დეკემბერს კი საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში. სამივე ამ მოვლენამ მეტ-ნაკლები გავლენა მოახდინა მთელი რეგიონის პოლიტიკაზე და ამავე დროს ხელი შეუწყო რელიგიის აღქმის ტრადიციული ჩარჩოს დარღვევას. იმავე წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა კონსერვატორი მარგარეტ ტეტჩერი, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტად ორი წლის შემდეგ, 1981 წელს, აირჩიეს რესპუბლიკელი რონალდ რეიგანი. რეიგანის არჩევამ კარდინალურად შეცვალა სეკულარისტული დასავლეთის სახე. რეიგანის პრეზიდენტობა კონსერვატორი საშუალო ფენისა და ქრისტიანული ჯგუფების მხარდაჭერას ემყარებოდა. მისი რიტორიკა გამოირჩეოდა რელიგიური ლექსიკით და აღტყინებით.

დასავლეთში მომხდარმა მოვლენებმა ხელი შეუწყო სოციოლოგების მიერ სეკულარიზმსა და რელიგიის მომავალზე შეხედულებების გადასინჯვას. 80-იანი წლების ბოლოს ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა პიტერ ბერგერმა აღიარა, რომ მთელ რიგ სფეროებში რელიგიის მნიშვნელობა დასავლურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ანგლო-ამერიკულ სამყაროში, არათუ შემცირდა, არამედ რადიკალურად გაიზარდა. მოგვიანებით გერმანელი სოციოლოგი ჰანს იოასი ამ მდგომარეობის ასეთ განმარტებას გვაძლევს: „პოსტსეკულარული“... არ აღნიშნავს რელიგიურობის უეცარ ზრდას მისი ეპოქალური შემცირების შემდეგ, არამედ იმ ადამიანების მსოფლმხედველობის ცვლილებაზე მიგვანიშნებს, რომლებსაც იქამდე ეგონათ, რომ რელიგიის ფენომენი გაქრობის პირასაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიცვალა სახელმწიფოს მიერ რელიგიის აღქმაც (განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ირანისა და, განსხვავებული ხარისხით, ამერიკის მაგალითებსაც). ხელისუფლების ლეგიტიმურობა უფრო მეტად გახდა დამოკიდებული შემართული და დამუხტული რელიგიური ჯგუფების აქტივობაზე. ერთი სიტყვით, გაიზარდა სახელმწიფოს მიერ საკუთარი თავის აღქმა.

სახელმწიფოს მიერ რელიგიის როლის გააზრების გარდა, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორის ჰენტ დე ვრისის (2006) მოსაზრებით, შეიცვალა თავად რელიგიების ხასიათიც. თუ აქამდე რელიგიები პოპულარულ, დემოკრატიულ მხარდაჭერას ეფუძნებოდნენ, ახლა ისინი უკვე ინდივიდუალისტურნი და სპონტანურნიც გახდნენ. გარდა ამისა, რელიგია უკვე აღიქმება, როგორც პრობლემა, რომელზეც მუშაობენ კვლევითი ცენტრები, ჟურნალისტები და ფილოსოფოსები.

საერთაშორისო პრესის ჟურნალისტებმა ახალი რელიგიურობის ინდივიდუალიზმი, ისლამისტ ტერორისტებზე დაკვირვებით, ადვილად შეამჩნიეს. მაგალითად, ოლივიე როის (2005) სიტყვებით: რაც მართალი იყო ალ-ქაიდას პირველი თაობის მიმართ, მართლდება მეორე თაობის შეთხვევაშიც: მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ახლოაღმოსავლური ან სამხრეთაზიური ოჯახებიდან არიან, უმეტესი მათგანი ევროპაში დაბადებული ვესტერნიზებული მუსლიმია, რომლებიც შემდგომ რადიკალური ისლამის მიმდევრები ხდებიან. გაცილებით საოცარი ამბავი კი სულ ახლახან დაიბეჭდა, 2010 წლის 27 იანვარს, ნიუ-იორკ თაიმსში. სტატიაში საუბარია ერთ ჩვეულებრივ ალაბამელ ბიჭზე, რომელიც ალ-ქაიდას სომალის ორგანიზაციის ერთ- ერთი მთავარი ლიდერი გახდა.

ჰენტ დე ვრისი თავის ესეიში თეოლოგიურ-პოლიტიკურის წინ, გარშემო და მიღმა საუბრობს ახალი მედიის როლზე პოსტსეკულარიზმის იდეის განვითარებაში, ისლამისტი ტერორისტებისა და 70-იანი წლების მემარცხენე ტერორისტების მსგავსებებზე. მისი საბოლოო დასკვნა კი ტრადიციული რელიგიების თანდათაბით დასუსტებაზე მიუთითებს და ინდივიდუალისტური, დასავლური ამბოხის იდეის სასარგებლოდ მეტყველებს. ცოტა ხნით კვლავ გვერდზე გადავდოთ ქართულ რეალობაში პოსტსეკულარიზმის ძიების მთავარი საკითხი და იმ ფილოსოფიურ წანამძღვრებზე ვისაუბროთ, რომლებიც აქამდე რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობას აგვარებდა.

რელიგიის სოციალური როლის გააზრება და პოლიტიკის სფეროსთან ურთიერთობის ფილოსოფიური იმპლიკაციები

ჰენტ დე ვრისის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კოტრიბუცია პოსტსეკულარიზმის კვლევაში სპინოზას დამსახურებისთვის ხაზის გასმაა. გლობალური მოცემულობების კვალდაკვალ იზრდება ისეთ ფილოსოფიურ ჩარჩოზე მოთხოვნილება, რომელიც ახალ რეალობას ადეკვატურად გადმოსცემს.

სხვადასხვა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების სფეროში განმანათლებლობის მკაცრი სეკულარიზმისა და ფრანგული ლაიციზმის გავლენის თავიდან ასაცილებლად განმანათლებლობის მოღვაწეთა საკვანძო დებულებების ახლებური გაშუქებაა საჭირო. იქნებ სწორედ მათში იმალება ის კონცეპტუალური უხერხულობები, რომლებმაც მთელ რიგ სფეროებში მეცნიერები შეცდომაში შეიყვანა და რელიგიის გაქრობა აწინასწარმეტყველებინა? სპინოზას თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი თანამედროვე პოსტსეკულარისტური და პოსტმოდერნული დეკონსტრუქციის პერპექტივებით საინტერესო ისტორიული წყაროა. ვრისის აზრით, სპინოზას განსაკუთრებულება იმაში მდგომარეობს, რომ ჰობსის სოციალური კონტრაქტის იდეა მასში ამოყირავებულია. სპინოზასთან ადამიანების თანამშრომლობა ისედაც აუცილებლობით გამოწვეული პაქტია, ამიტომ მთავარი აქცენტი გადატანილია ამ მოჩვენებითი ერთობის შენარჩუნებაზე, რომელსაც მუდმივად ელოდება დესტაბილიზაცია და დესტრუქცია. აქ შემოდის მედიის განსაკუთრებული როლიც, რადგან წამყვანი ბრძოლა პერცეფციების და ეფექტების შექმნაა და არა ლოგიკური ოპერაციები. სწორედ ამას ემსახურება ამაზრზენი, თავის მოკვეთის ამსახველი ვიდეოები, რომლებსაც ტერორისტები ინტერნეტით ავრცელებენ, ან კოალიციისა და ნატოს ჯარების მიერ ძალის დემონსტრირება საჰაერო დაბომბვებით. მედია ჩართულია პერცეფციათა ბრძოლის საყოველთაო ომში, რომელიც, როგორც ჩანს, ადამიანური არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფორმაა.

რელიგიასა და პოლიტიკას შორის დამოკიდებულება სცილდება ტრანსცენდენტურისა და ამქვეყნიურის დაპირისპირების თეოლოგიურ ფარგლებს და ალბათ ამ წრეში ჩაკეტილობამ თუ განმანათლებლობის გულუბრყვილო სეკულარისტურმა პათოსმა ადეკვატურ განსჯაშიც შეგვიშალა ხელი. თუმცა პროფანულისა და საკრალურის ამ თეოლოგიური თუ ფილოსოფიური დუალიზმის შენარჩუნების პირობებშიც ჯერ კიდევ სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლისთვისაც უკვე ნათელი იყო რელიგიის საზოგადოებრივი ხასიათი და მისი ფუნქციური ადგილი (სიტყვა ფუნქციური ამ შემთხვევაში ფუნქციონალიზმის ეპისტომოლოგიის გამო შევინარჩუნეთ). საუბარია ემილ დიურკჰაიმის (1912) ნაშრომზე რელიგიის ელემენტარული ფორმები, რომელიც რელიგიის საკითხისადმი სოციოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადრეული ნიმუშია.

დიურკჰაიმი მთელი სკრუპულოზურობით იკვლევს რა, მისი აზრით, ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული რელიგიის, ტოტემიზმის, თავისებურებებს, მიდის დასკვნამდე, რომ რელიგიის სახით, ადამიანის ცნობიერში თავად საზოგადოების ყოვლისმომცველი ძალა შემოდის. ეს ეთანხმება როგორც სპინოზას მიერ საზოგადოების თეოლოგიურ-პოლიტიკურ გააზრებას, ასევე თავად ბიბლიურ ვერსიასაც, სადაც სოციალობის პირველი ფორმა (და, შესაბამისად, რელიგიის შესაძლებლობაც) მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანებს გამოაძევებენ ედემის ბაღიდან და ისინი ამქვეყნიურ სამყაროში დასახლდებიან. ეს ბიბლიური ალეგორია ქრისტიანული რელიგიისთვის (და, შეიძლება ითქვას, ყველა სხვა მონოთეისტური რელიგიისთვისაც) მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ რელიგიაში იმთავითვე მოცემულია საერო და სასულიერო ცხოვრების სეკულარისტული გამიჯვნის პრინციპი, ერ-სახელმწიფოებში წარმოქმნილი სპეციფიკური პოლიტიკური სფეროსგან სასულიერო სფეროს გამიჯვნა მაინც მტკივნეულ პროცესად იქცა. განმანათლებლობამდე ევროპულ საზოგადოებებში რელიგიისა და პოლიტიკის სფეროთა ურთიერთმიმართებები ცალკე განხილვის საგანია, რომელიც ჩვენს ამჟამინდელ ინტერესს სცილდება, რადგან ჩვენ სწორედ ის მკვეთრად ჩამოყალიბებული დიქოტომია გვაინტერესებს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოების წარმოქმნის პრინციპად იქცა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ გვაინტერესებს სეკულარიზმის, როგორც ერი-სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი პრინციპის გენეალოგიური სურათის დანახვა. ამ უკანასკნელში კი, ვფიქრობ, დაგვეხმარება ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ლუკ ნანსის (2007) ესეი ,,ეკლესია, სახელმწიფო და წინააღმდეგობა.‘‘

ნანსი ერთმანეთისგან გამოარჩევს ჰეტერონომიულ და ავტონომიურ ასპექტებს, რომლებიც რელიგიასა და პოლიტიკას ახასიათებს. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ რელიგია ჰეტერონომიულია, რადგან თავის თავში შეიცავს ,,სხვასთან‘‘, ,,უცხოსთან‘‘, შეიძლება ითქვას, საზოგადოებასთან დამოკიდებულების მომენტს, ხოლო პოლიტიკა ცდილობს ინდივიდებს ავტონომიურობა მისცეს, რადგან მისთვის ამოსავალი წერტილია, მოცემულობაა მოქალაქეების ცალკეული ინტერესები და ამ ინტერესების აგრეგატული გამოხატვის ფორმები (ყოველ შემთხვევაში, რიტორიკის დონეზე მაინც). ნანსი ამბობს, რომ ,,თუ ავტონომია ეწინააღმდეგება ჰეტერონომიულობას დემოკრატიის რეპრეზენტაციის ყველა დონეზე, ჰეტერონომია ავტონომიას ეწინააღმდეგება აფექტებით. აფექტი იმთავითვე ჰეტერონომიულია, და ალბათ ჩვენ ისიც უნდა ვთქვათ, რომ აფექტი არის ჰეტერონომია‘‘. ეს დემოკრატიული დუალიზმი, მისი აზრით, დამახასიათებელი იყო ბერძნული პოლისისა და განმანათლებლობისთვის, მაგრამ იგი ამავე დროს, ქრისტიანულიც არის, რადგან ქრისტიანობა გულისხმობს სფეროების ამ გაყოფადობას (,,კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა‘‘).

სეკულარისტული პრინციპი, ნანსის თქმით, დარღვეული იყო რომში, და სწორედ რომაული სისტემა შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო რელიგიის ადრეულ ფორმად (შესაბამისად, პარალელები იტალიურ ფაშიზმთან). სამოქალაქო რელიგიის სხვა ფორმები, ანუ პოლიტიკის მიერ აფექტის გამოყენება რადიკალურ შემთხვევებში, ევროპის ისტორიაში (და არა მხოლოდ) ტრაგიკულად მთავრდებოდა. აქედან გამომდინარე, ორივე შესაძლებლობა ორი სფეროს გაყოფის და გაერთიანების ამოწურულია, და

ნანსი თვლის, რომ დღევანდელი ბრძოლა ადამიანური არსებობის ფორმების უფრო ზოგადი დაპირისპირებაა, ვიდრე ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონფრონტაცია. თუ მის მოსაზრებას დავეყრდნობით, მაშინ თამა- მად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ პოსტსეკულარისტულ პირობებში რელიგიის აღქმის ან რელიგიური აქტივობის ტრანსფორმაციის მიზეზი (თუნდაც რელიგიური ჯგუფების კოოპერაციის გაზრდისა და პოლიტიკის ლობირებაში ჩართვის) არა იმდენად რელიგიის მიერ რევანშის აღების მცდელობაა, რამდენადაც „სოციალობის" დაბრუნება ახალი, არატრადიციულად „ტრანსცენდენტური" კონცეფციების ფორმით. ეს რელიგიური ჯგუფები უფრო მეტად საკუთარი თავის საზოგადოებრივი ცხოვრების დონეზე გამოხატვის შესაძლებლობებზე არიან კონცენტრირებულნი და არა ტრადიციული დოგმების ან სწავლებების დაცვაზე, როგორც ეს იყო შუასაუკუნეობრივ რელიგიურ ომებში. ნანსი იყენებს ჰაიდეგერის ტერმინს „თანაყოფნას" (Mitsein) იმისათვის, რომ აღნიშნოს სწორედ ეს შინაგანი დაპირისპირებები, ადამიანის სოციალური ბუნების გამოხატულებაში რომ ჩნდება.

საქართველოს შემთხვევა - სამოქალაქო რელიგიები და პოსტსეკულარიზმი

ქართულ საზოგადოებაში რელიგიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებების წინა პლანზე წამოწევა დაემთხვა რელიგიური არსებობის ფორმების გლობალურ ტრანსფორმაციას და ქართულ პოლიტიკაში სახელმწიფოებრივი მოდერნიზაციის პროცესს. პირველ შემთხვევაში გარდაიქმნა რელიგიური ორგანიზაციის ტრადიციული ფორმა, მეორე შემთხვევაში კი სახელმწიფომ დაიწყო საკუთარი „სარწმუნოების" შექმნა. ორივე მდგომარეობას დაუპირისპირდა პოლიტიკური საჯარო სივრცე, რომელიც პოლიტიკური ოპოზიციის აქტივობამ გააჩინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოსტსეკულარიზმი სახელმწიფოს მიერ რელიგიური ჯგუფებისადმი დამოკიდებულების შეცვლაა, რაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირდება. საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გააქტიურებაც იმ იდეოლოგიურ საფუძვლებს უნდა დავუკავშიროთ, რაზედაც სააკაშვილი საკუთარი ხელისუფლების დაფუძნებას აპირებდა. პირველ ყოვლისა ეს იყო ნაციონალიზმის თავისებური გაგება, რომელიც გულისხმობდა გელათის ტაძარში ფიცის დადებას და ეკლესიის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ნაციონალიზმის ერთ-ერთი საყრდენის, გაძლიერებას. იქამდე, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე სასულიერო დონეზეც, არსებობდა მოთხოვნილება საერო და სასულიერო ინსტიტუტების გაძლიერებისა. პოსტსაბჭოთა ვითარებაში და ფრაგმენტირებულ საზოგადოებაში ცენტრალიზაციის მოთხოვნილება ორივე მიმართულებით, შეიძლება ითქვას, წარმატებით განხორციელდა.

მიუხედავად სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის აღმოცენებული თანხმობისა, უთანხმოებებმაც იჩინა თავი, თუმცა არა უშუალოდ საპატრიარქოს ან პატრიარქის, არამედ რადიკალურად განწყობილი კონსერვატორული და რელიგიური ჯგუფების მიზეზით. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სეკულარიზმის პოლიტიკური მოთხოვნა არასდროს ყოფილა. ხელისუფლების რიტორიკა, უბრალოდ, რელიგიური ხასიათის სპინოზისტურ „აფექტთა" სამოქალაქო რელიგიის ან, იურგენ ჰაბერმასის სიტყვებით თუ ვიტყვით, „კონსტიტუციური რელიგიის" მიმართულებით გადამისამართება იყო.

კონსტიტუციური წყობილების დაფუძნების მცდელობა საქართველოში დროის მხოლოდ ძალზე მცირე მონაკვეთში შეიმჩნეოდა და ის ისევე სწრაფად შეიცვალა ნაციონალისტურ-რელიგიური რიტორიკით, როგორც საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარი - ნაპოლეონის დიქტატურით. შედეგად, რელიგიური და ხელისუფლების ნაციონალისტური ნარატივი თითქოს ერთმანეთს დაუპირისპირდა, მაგრამ სინამდვილეში ორივეს გაცილებით უფრო სერიოზული მეტოქის წინააღმდეგ მოუწია გამოსვლა. ოპოზიციური ძალების პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამ თავად ეს დემოკრატიული პოლიტიკური არენა შექმნა იმით, რომ მასში ინდივიდუალისტური, ეგოისტური ინტერესების მანიფესტაცია მოახდინა. მართალია, ოპოზიცია როგორც რელიგიური, ისე ნაციონალისტური ნარატივის თავის ხელში მოქცევას ცდილობდა, მაგრამ პატრიარქისა და ხელისუფლების მიმართ მისი მოთხოვნების არსი საბოლოო ჯამში დემოკრატიული, ინდივიდუალისტური და ეკონომიკური იყო (საპარლამენტო მმართველობა, პარტიული პლურალიზმი, ეკონომიკური კეთილდღეობა, დამნაშავე ხელისუფლების წევრების დასჯა, მედიის თავისუფლება და ა.შ.). შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ოპოზიციური პროტესტები „ანარქიული" იყო. ამ ანარქიის წყაროდ კი ის პრეიდეოლოგიური მდგომარეობა იქცა, რომელიც პოსტსაბჭოთა შევარდნაძისეულ საქართველოში დომინირებდა და რომელიც ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა.

ოპოზიციურ ხმებზე ზემოქმედების კუთხით ხელისუფლება და ეკლესია თანაბრად უძლური აღმოჩნდა. იმის შემდეგ, რაც პატრიარქმა ხალხს დაშლისკენ მოუწოდა, პოლიტიკოსების რაღაც ნაწილმა მაინც გადაკეტა რკინიგზა, ხოლო მთავრობის ნაციონალისტურ და მილიტარისტულ რიტორიკას კი მათზე იოტისოდენა გავლენაც არ მოუხდენია.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლა რელიგიასა და პოლიტიკას შორის დამთავრდა. პირიქით, ამ ბრძოლამ სრულიად უნიკალური პოსტსეკულარული ხასიათი შეიძინა. დღეს საქართველოში ერთმანეთს ებრძვის რელიგიური თანაყოფნისა და თანაცხოვრების მოთხოვნილება და პოლიტიკური, ეგოისტური, ავტონომიური ანარქია. ორივე მათგანის განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ ლოკალიზებულნი არ არიან რომელიმე ძალაუფლებრივ ინსტიტუტში, მაგალითად, ეკლესიაში, სახელმწიფოში ან ოპოზიციურ ძალებში. ორივე გაფანტულია ყველა მათგანში და გაცილებით უფრო ფუნდამენტურ დაპირისპირებას წარმოაჩენს - ადამიანური „მე"-ს დაპირისპირებას

საკუთარ თავთან ან საკუთარი თავის წყვეტილ არსებობასთან საზოგადოებაში.

დასკვნა

ადამიანური ყოფიერების რელიგიურ და პოლიტიკურ ასპექტთა დაპირისპირების განხილვით დავრწმუნდით, რომ მიმდინარე პროცესები მხოლოდ ცალკეულ საზოგადოებაში წარმოქმნილი განსხვავებული რღვევების შედეგი კი არ არის, არამედ ერთი გლობალური სისტემის კონცეპტუალური სოციოლოგიური და ფილოსოფიური ფუნდამენტის მოშლისა. რთულია იმისი თქმა, თუ რა განსაზღვრავს ამ სისტემური კრიზისის ერთიანობას: გლობალური საბაზრო ეკონომიკის ყოვლისმომცველი ბუნება, გლობალური მედიის ხასიათი თუ დასავლური პოლიტიკური მოწყობის პოსტკოლონიური დომინირება? ყველა შემთხვევაში ჩვენი ამოცანა ტრადიციული დაპირისპირებების ჩარჩოდან თავის გამოყვანაა. ეს კი არა მხოლოდ ეკლესიისა და სახელმწიფოს დაპირისპირების სეკულარისტული ანალიზისგან თავის დაღწევას გულისხმობს, არამედ სოციალური და კულტურული მოვლენების ახლებურ განხილვასაც. მხოლოდ ამგვარი რედეფენიციით შეიძლება კონცეპტუალური გაუგებრობისგან თავის დაღწევა.